



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### გოგოძე კარლო იოსების ძე

გოგოძე კარლო იოსების ძე (8. V. 1909, სამტრედია, – 3. I. 1977, თბილისი), კინოკრიტიკოსი, დრამატურგი, პედაგოგი. საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1966).

1929–30 სწავლობდა სახკინმრეწვის კინომსახიობთა სკოლაში. დაამთავრა საკავშირ. კინემატოგრაფიის სახელმწ. ინ-ტის სასცენო ფაკ-ტი (1935).

გ. ავტორი და თანაავტორია მხატვრული ფილმების სცენარებისა: „დაკარგული სამოთხე“ (1940, ვ. კარსანიძესთან ერთად), „დაგვიანებული სასიძო“ (1939), „ქაჯანა“ (1941 წ. ლომოურის მოთხრობის მიხედვით), „მაგდანას ლურჯა“ (1955, ე. გაბაშვილის მოთხრობის მიხედვით), „მაიაკოვსკი იწყებოდა ასე...“ (1958, კ. პიპინაშვილთან ერთად) და სხვ.

მისივე სცენარებით გადაიღეს მულტფილმები: „ვეფხვი და ვირი“ (1960), „ლურჯა“ (1970); დოკუმენტური ფილმები: „გენერალ-პოლკოვნიკი ლესელიძე“ (1944), „საქართველოს მზიური სანაპიროები“ (1949), „ვლადიმერ მაიაკოვსკი საქართველოში“, „ალაზნის ველი“ (1954), „ქართული ფოლადი“ (1961), „იყალბოს ნაფუძვარზე“ (1970) და სხვ.

1971–77 ხელმძღვანელობდა თავისსავე ინიციატივით დაარსებულ კინომუზეუმს.

*თბ.*: ნატო ვაჩნაძე, თბ., 1949; ნარკვევები ქართული კინემატოგრაფიის ისტორიიდან, თბ., 1950; კოტე მარჯანიშვილი, თბ., 1953; ვასილ ამაშუკელი, თბ., 1954; ივანე პერესტიანი, თბ., 1957; ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარების გზები, თბ., 1959; საბჭოთა კინოფილმების საერთაშორისო წარმატებები, თბ., 1963; ქართული ფილმები მსოფლიოს ეკრანებზე, თბ., 1975; აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912

წელს, თბ., 1979.

**ა. გვენცაძე**

---